ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს საკადრო უზრუნველყოფის შესახებ

(2014 წლის III კვარტალი)

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში საჯარო თანამდებობათა დასაკავებლად კონკურსი ტარდება ეტაპობრივად:

2014 წლის 13 აგვისტოს კონკურსი გამოცხადდა შემდეგ თანამდებობებზე:

1. საერთაშორისო პროექტების სამმართველოს საერთაშორისო პროექტების დაფინანსებით შესყიდვების ორგანიზების განყოფილების უფროსი;

2. საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობისა და მონიტორინგის სამმართველოს გზების ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების უფროსი სპეციალისტი;

კონკურსის შედეგების მიხედვით დაინიშნენ:

საერთაშორისო პროექტების სამმართველოს საერთაშორისო პროექტების დაფინანსებით შესყიდვების ორგანიზების განყოფილების უფროსის თანამდებობაზე – **ლუკა მოსაშვილი;**

საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობისა და მონიტორინგის სამმართველოს გზების ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე– **დავით ლაბაძე.**

კონკურსის შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საპრეტენზიო კომისიაში, ზემდგომ ორგანოში - „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში (ყაზბეგის გამზ. 12), ხოლო შემდგომ ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარატამენტში კონკურსის ჩატარების წესს განსაზღვრავს შემდეგი ნორმატიული აქტები ,,საჯარო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონი და **საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ.**